



თბილისის ზოოპარკის საექსკურსიო პროგრამები სკოლის მოსწავლეთათვის

ბავშვთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და ეკოლოგიური განათლების მიზნით, ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრის სკოლის მოსწავლეებისათვის შეიმუშავა სპეციალური **2 საათიანი** შემეცნებით-გასართობი ექსკურსიები და პროგრამები, რომლის ფარგლებშიც ბავშვები გაეცნობიან ზოოპარკში მობინადრე ცხოველებს, მათ საცხოვრებელ არეალებს, ქცევის თავისებურებებს, მონახულებენ ეგზოტარიუმს და სხვა.

შემეცნებითი პროცესი ეფექტურობისათვის, ექსკურსიებში შეტანილია სხვადასხვა ეკოლოგიური თამაშები, რომლებიც უფრო სახალისოსა და საინტერესოს ხდიან აღნიშნულ ტურებს.

საექსკურსიო პაკეტის ღირებულებაა **4 ლარი. ჩანერა ერთი კვირით ადრე!**

საკონტაქტო ინფორმაცია

მის.: თბილისის ზოოპარკი, მ. კოსტავას ქ. №64

ტელ.: (+995 32) 213 10 88

მობ.: (+995) 595 90 67 90

ელ.ფოსტა: education@zoo.ge

ცხოველების ანბანი

ასაკი: 6-7 წელი
ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: ნუთუ ანბანი შეიძლება იყოს სახალისო? ჩვენ გაგაცნობთ ცხოველებს ზოოპარკის ბინადართა გასაოცარი ანბანიდან. შესაძლებელია სპეციალურად შერჩეული ცხოველების კვებაც.

ფერები ველურ ბუნებაში

ასაკი: 6-7 წელი
ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: კონკრეტული მაგალითების განხილვის საშუალებით, ერთად განვსაზღვროთ, თუ როგორ იყენებენ ცხოველები სხეულის შეფერილობასა და ნახატს გადარჩენისათვის. ათვისებული მასალის ცოდნას გამოიყენებთ ცხოველთა ჩანახატების გასაკეთებლად.

ჩვენ ცხოველები ვართ

ასაკი: 6-7 წელი
ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: ამ სახალისო გაკვეთილის განმავლობაში, ცხოველების დათვალერებისას, მოსწავლეები დააკვირდებიან მათ, მოისმენენ ინფორმაციას კვების, ქცევის თავისებურებების შესახებ. ყოველივე ამის შემდეგ ერთმანეთს შეადარებენ ადამიანებს (საკუთარ თავს) ცხოველებს და განსხვავებებთან ერთად აღმოაჩინენ უამრავ მსგავსებას. პედაგოგთან ერთად მოსწავლეები ეცდებიან განსაზღვრონ თუ რომელ ცხოველთან აქვს მეტი საერთო ადამიანს და რატომ? რა ადგილი უჭირავს ადამიანს ცოცხალ სამყაროში. სახალისო თამაში “რა გვაქვს საერთო”.

ველური ბუნება ყველგანაა

ასაკი: 6-7 წელი
ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: მოსწავლეები გადაიქცევიან ბუნების გამომძიებლებად, გამოიკვლევენ მიკროგარემოს, რომ აღმოაჩინონ რაიმე ცხოველი, ან ცხოველის არსებობის ნიშანი (არაპირდაპირი დამამტკიცებელი ნიშნები, როგორიცაა ნაკვალევი, აბლაბუდა, ექსკრემენტი, ბუმბული, ბუდე) ამის შემდეგ პედაგოგთან ერთად დასხედებიან ბუნების წიაღში და გაარჩევენ მათ მიერ ნაპოვნ სიცოცხლის არსებობის ნიშნებს. გაკვეთილის ჩატარება მიზანშეწონილია ადრე შემოდგომასა და გაზაფხულზე.

გავიცნოთ ჩვენი ზოოპარკი – ველური ცხოველების პარკი

ასაკი: 6-7 წელი
ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გთავაზობთ საინტერესო გასეირნებას ზოოპარკში, სადაც გაეცნობით ზოოპარკის ბინადრებს, შეიტყობთ მათ შესახებ საინტერესო ფაქტებს. ვისაუბრებთ თანამედროვე ზოოპარკის დანიშნულებაზე და მის მნიშვნელობაზე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში.

ცხოველთა კლასები

ასაკი: 10-12 წელი
ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: მოსწავლეები სახალისო ტურის განმავლობაში მონახულებენ ცხოველთა სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს, მათი ჩონჩხის, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის სისტემების თავისებურებებს, რაც განაპირობებს მათ განსხვავებულ ცხოვრების წესს.

ხმელეთის, წყლის, ჰაერის ბინადარი ცხოველები

ასაკი: 8-10 წელი
ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: ამ გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეები შეიტყობენ რომ ყველა ცოცხალი არსება დაკავშირებულია საკუთარ გარემოსთან. ყოველი მათგანი ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულია მის გარშემო არსებულ ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებზე. ბავშვები ზოოპარკში მობინადრე ცხოველებს დააჯგუფებენ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და უფრო თვალსაჩინოდ წარმოიდგენენ ცხოველთა ადაპტაციის საოცარ ფაქტებს.

თავდაცვითი და გარემოსთან შეგუებითი ქცევა

ასაკი: 8-10 წელი
ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: სიცოცხლის შესანარჩუნებლად ცხოველებმა არა მარტო უნდა მოიპოვონ საკმარისი რაოდენობით საკვები, არამედ ეცადონ თვითონ არ გახდნენ მტაცებლების საკვები. ამ მიზნის მისაღწევად ცხოველებმა შეიმუშავეს თავდაცვის უამრავი ხერხი (კამუფლაჟი და სეზონებთან შეგუება).

საკვები და კვებითი ჯაჭვი

ასაკი: 14-18

ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: კბილები, ყბები და საკვების ტიპი გამოიყენება იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თუ რომელ კვებით ჯგუფს მიეკუთვნება ცხოველი, მისი ტროფული დონე, შევისწავლოთ ენერჯის გადაცემის პროცესი კვებით ჯაჭვებში. ზოოპარკში ეს ინტერაქტიული ტურის განმავლობაში მოსწავლეები გაეცნობიან ეკოსისტემაში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლისა და ენერჯის ცვლის პროცესებს.

ეკოსისტემები – აფრიკის სავანა

ასაკი: 14-18

ხანგრძლივობა: 2 სთ

შინაარსი: მოსწავლეები გაეცნობიან ზოოპარკის აფრიკულ სავანას, რომ შეისწავლონ ეკოსისტემის ელემენტები. ახდენს ფოკუსირებას რა ეკოსისტემის მთავარ ელემენტებზე, როგორებიცაა ცხოველები, მცენარეები, ნიადაგი, ტემპერატურა და სხვა, ეს პროგრამა მოგვითხრობს სავანის ბინადართა რთულ ურთიერთკავშირებზე



საკონტაქტო ინფორმაცია

მის.: თბილისის ზოოპარკი, მ. კოსტავას ქ. №64

ტელ.: (+995 32) 213 10 88

მობ.: (+995) 595 90 67 90

ელ.ფოსტა: education@zoo.ge